

2017 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი 'თბილისსა და რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობაზე' წარმოდგენილი 20 პროექტიდან, საკონკურსო კომისიამ რეკომენდაციები გაუწია 12 პროექტის ხელშეწყობას, რომელნიც თბილისსა და რეგიონებში ჯგუფური, თუ პერსონალური გამოფენების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამართვით წარმოაჩინენ საქართველოს ვიზუალური ხელოვნების ფართო სპექტრს (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ფოტოხელოვნება, მულტიმედია და თანამედროვე ხელოვნების სხვა მიმართულებები).

„ხელოვნება და კულტურათმშორისი დიალოგი: იდენტობა და კულტურული მრავალფეროვნება“ (განმახორციელებელი - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია)

პროექტის მიზანია თბილისში დოქტორანტთა და სადოქტორო საფეხურის ახალკურსდამთავრებულთა მე-4 საერთაშორისო კონფერენციის და გამოფენის ჩატარება. კონფერენციის და გამოფენის თემა: ხელოვნება და კულტურათმშორისი დიალოგი: იდენტობა და კულტურული მრავალფეროვნება. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ფართოდ მოიცვას ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს და მსოფლიოს უნივერსიტეტების (ლუბლიანა, რიეკა, სპლიტი, ბელგრადი) და სამეცნიერო ინსტიტუციების სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში და მათი ნაშრომების ფართო აუდიტორიისათვის წარდგენას. გამოფენის გამართვა დაგეგმილია გალერეაში 'აკადემია+'

'დაფარული შინაარსი - Content unavailable' (განმახორციელებელი - ააიპ „თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის ცენტრი“)

2017 წელს 'გალა გალერეაში' დაგეგმილია ახალგაზრდა ხელოვანის მანუჩარ ოქროსცვარიძის გამოფენა. გამოფენის ძირითადი ამოცანაა, შექმნას აქტიური კავშირი ხელოვანს, არტეფაქტს, მაყურებელსა და სივრცეს შორის. წარმოაჩინოს სივრცე და მაყურებელი, როგორც შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე და არა პასიური ობიექტი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ხელოვნება ხშირად ეხება სოციალური აქტუალური და მნიშვნელოვანი თემებს, მისი ენა ხშირად გაუგებარი რჩება მაყურებლისთვის. გამოფენის მსვლელობისას მოეწყობა დისკუსია ხელოვანთან, თანამედროვე ხელოვნების ამოცანების, გზავნილების, საკომუნიკაციო ენის და კულტურაში მისი როლის შესახებ. პროექტი მიმართულია თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისადმი.

'მირიან შველიძის პერსონალური გამოფენა' (განმახორციელებელი - სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი) მირიან შველიძე რუსთაველის თეატრში 1975 წლიდან მოღვაწეობს. წელს მას 70 წელი შეუსრულდა. მხატვარს დიდი წვლილი მიუძღვის ზოგადად ქართული თეატრის განვითარებაში. პროექტის მიზანია ცნობილი ქართველი სცენოგრაფის, საიუბილეო

თარიღთან დაკავშირებით, რუსთაველის თეატრში მისი პერსონალური გამოფენის მოწყობა და გამოფენის ფარგლებში მხატვრის შემოქმედების ამსახველი ალბომის პრეზენტაცია.

"პრინტის საერთაშორისო ფესტივალი - LIFE N STYLE" (განმახორციელებელი - ააიპ არტ კავკასია“)

საერთაშორისო პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - ბეჭდვითი მედიის - პრინტის საერთაშორისო ფესტივალის გამართვას (სერიგრაფია, ოფორტი, შოლკოგრაფია, ლითოგრაფია, ლინოგრაფიურა). საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, მესტია, თელავი, ოზურგეთი) ახალგაზრდა ადგილობრივ ხელოვანებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული (ჰოლანდია, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, სომხეთი, ლიტვა, თურქეთი, უკრაინა) უცხოელი არტისტები. პროექტი ინოვაციურია, იგი არტ ბიზნესისა და კრეატიული ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - დაზგური გრაფიკის აღორძინებისკენაა მიმართული.

"შოვი - მესიერება" (განმახორციელებელი - ააიპ "სეკატორი“)

რეგიონალური პროექტი მიზნად ისახავს კომპლექსურ კვლევას ტურიზმის, ქართულ-ებრაული ურთიერთობებისა და კულტურული მემკვიდრეობის სეგმენტებში. კვლევა ეფუძნება კურორტ შოვის დამაარსებლის - ექიმ შამშე ლეჟავას არქივს, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ მასალასა და ონიდან წასულ ებრაელთა საოჯახო ალბომების ფოტოდოკუმენტაციის შესწავლას. კვლევის შედეგად წარმოდგენილი მასალა საბოლოოდ მულტიმედიური გამოფენის სახეს მიიღებს და 2017 წლის ზაფხულის თვეებში წარმოდგენილი იქნება რაჭაში ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

"მე-5 ოთახი" - ნინო ჩუბინიშვილის სოლო გამოფენა (განმახორციელებელი - შ.პ.ს. "ჩუბიკა")

ნინო ჩუბინიშვილის საავტორო პროექტი "მე-5 ოთახი" გულისხმობს მის სოლო გამოფენას აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში ექსპოზიცია სპეციალურად ამ მუზეუმის სივრცისთვისაა შექმნილი . პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განსხვავებულ კონტექსტებში რეპრეზენტაციას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ პროცესებში. სწორედ ამ პროცესის თანმდევ კითხვებს გამოსახავს ინსტალაციით, სკულპტურებით, ბგერით, პროექციით, წარმოდგენილი ვიზუალური თხრობა.

„ნანა ცინცაძის პერსონალური გამოფენა“ (განმახორციელებელი - შპს „გამომცემლობა გრიფონი“)

2017 წელს თბილისის ისტორიის მუზეუმში ' იგეგმება '70-იანელოთა' თაობის, ქართული დაზგური გრაფიკის ერთერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ნანა ცინცაძის საიუბილეო გამოფენა. ნანა ცინცაძე გახლდათ სერგო ქობულაძის ასისტენტი და გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს დაზგური გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი. ის დღესაც აქტიურ

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და ახალგაზრდა არტისტებს თანამედროვე დაზგური გრაფიკის მიმართულებით ავითარებს.

"სტუმრად ძეგვის ბავშვთა სახლში" (განმახორციელებელი - სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრი)
პროექტი ეხება ისეთ მწვავე, აქტუალურ და თანამედროვე საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მზრუნველობამოკლებული ბავშვების ინტეგრირება სოციუმში. პროექტის მიზანია: ძეგვის ბავშვთა სახლში ზოგადსაგანმანათლებლო კვირეულის ჩატარება; სახელოვნებო ცოდნისა და უნარების ამალეება-გაღრმავება, პროექტის მსვლელობაში ბავშვების აქტიური ჩართულობა; ქართველი მხატვრების შემოქმედების პოპულარიზაცია. პროექტის საშუალებით ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა, თავად მიიღონ მონაწილეობა გამოფენის მოწყობაში.

„სოციალური ინოვაცია, როგორც აუცილებლობა“ (განმახორციელებელი - ააიპ თანამედროვე ხელოვნების ცენტრი)
პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ხელოვანების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. პროექტი ეხება ადამიანის აზროვნებას და მისი შემოქმედებითი პოტენციალის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ექსპერიმენტული ფორმის გამოფენა და ვორქშოფი 20 ახალგაზრდა ქართველი ხელოვანის მონაწილეობით. გამოფენის შემდეგ მოხდება პუბლიკაციის ბეჭდვა და მისი პრეზენტაცია თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში. პროექტი ასევე გულისხმობს აქტუალური თემატიკის ქართული თანამედროვე ხელოვნების კონტექსტში წარმოჩენას.

„მხატვრის გამოფენის მოწყობა“ (განმახორციელებელი - ი.მ. ნიკოლოზ მაჭავარიანი)
2017 წელს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში იგეგმება მხატვარ-არქიტექტორ თენგიზ მახარაშვილის რეტროსპექტული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ფერწერული და, ასევე, მოცულობით-სივრცობრივი ნამუშევრები. გამოფენის გვარგლებში გაიმართება მხატვრის შემოქმედების ამსახველი ალბომის პრეზენტაცია.

დავით სულაკაურის პერსონალური გამოფენა (განმახორციელებელი - ი.მ. მარიანა ოკლეი)

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში იგეგმება 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის დავით სულაკაურის რეტროსპექტული გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტური მხატვრობა, ხატწერა), რომელიც ეძღვნება მის საიუბილეო თარიღს. დ. სულაკაურის შემოქმედება ქართული ხელოვნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მძლავრი ინდივიდუალურობის მქონე მხატვარი თავის ნამუშევრებში ქართული და ევროპული სკოლის ტრადიციების შერწყმის ბრწყინვალე მაგალითს გვთავაზობს.

„მემორია“ (განმახორციელებელი - შპს 'იარტ გალერეა' პროექტის მიზანია საქართველოს სახალხო მხატვრის, 50-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, დიმიტრი ხახუტაშვილის რეტროსპექტული გამოფენის მოწყობა „იარტ გალერეაში“. გამოფენაზე, რომელიც მხატვრის 80-წლისთავს ეძღვნება, წარმოდგენილი იქნება მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.